Kreatives Schreiben/შემოქმედებითი წერა

Hausspruch/Schulspruch

მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა

თემა/მიზანი:

ადგილის წინდებულების გამოყენება,შემოქმედებითი უნარების განვითარება

ორგანიზების ფორმა:

ინდივიდუალური ან წყვილებში (Einzel- oder Patnerarbeit)

სამუშაო რესურსი:

სამუშაო ფურცელი

მომზადება:

სამუშაო ფურცლის ქსეროასლი

ხანგრძლივობა:

45 წუთი

ენის ფლობის დონე:

A2-დან

აქტივობის შესასრულებლად დაგჭირდებათ ორად გაჭრილი თაბახის ფურცელი. დააწერეთ თითო ფურცელს ადგილის აღმნიშვნელი თითო წინდებული: Lokale Präpositionen: ***in, auf, an,*** **bei**

ნაბიჯი 1: გააკარით ბარათები დაფაზე ან კედელზე, სთხოვეთ მოსწავლეებს წინდებულებს შეუსაბამონ ადგილები(Zeit 10 Min., Einzel-oder Partnerarbeit). მაგ.

Aufgabenstellung: Ordnet bitte den Präpositionen passende Orte zu



მიცემული დროის გასვლისა და დავალების შესრულების შემდეგ, მასწავლებელი ახდენს შედეგების შეჯამებასა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას.

ნაბიჯი2: მასწავლებელი თავად, შესაბამისი ინტონაციით წაიკითხავს ლექსს სამუშაო ფურცელზე ***Hausspruch*** (ქსეროასლები, დაფა ან ელექტრონული დაფა) მოსწავლეებს გაამახვილებინებს ყურადღებას ლექსებში არსებულ აქტივობებზე: in meinem Haus, ***da wohne ich***, ***da schlafe ich*** ... და ლექსების ბოლო წინადადებაზე: Wenn ich will ... იმ შემთხვევაში, თუ *Wenn* კავშირიანი კონსტრუქცია არ არის მოსწავლეებისთვის ნაცნობი, პედაგოგს შეუძლია მოკლედ განუმარტოს მოსწავლეებს მისი მნიშვნელობა და წინადადების წყობა.

ნაბიჯი 3: პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს ინდივიდუალურად ან წყვილებში შეარჩიონ ერთი წინდებულისა და ადგილის კომბინაცია და შეთხზან მსგავსი სტრუქტურის ლექსი.

ნაბიჯი 4: სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები თავად კითხულობენ თავიანთ ლექსებს. შესაძლოა პატარა შეჯიბრის მოწყობა **Poetry slam** -ის სტილში. ანუ მსმენელები ხმათა უმრავლესობით გამოავლენენ გამარჯვებულს.

პრეზენტაცია: შედეგების გამოკვრა შესაძლოა დაფაზე ან ონლაინ სივრცეში.

Hausspruch

In meinem
Haus,
da wohne ich,
da schlafe ich,
da esse ich.

Und wenn du willst,
dann öffne ich die Tür
und lasse dich ein.

In meinem
Haus, da lache
ich, da weine
ich, da träume
ich.

Und wenn ich will, dann
schließe ich die Tür und
bin allein.

Gina Ruck-Pauquet